საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 10 მარტი 2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 5

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"ს 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654-ე დადგენილების შესაბამისად

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართის შესაბამისად.

2.მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული პროექტები წარუდგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია